დამტკიცებულია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ

2019 წლის 29 იანვრის № 01-03/13 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის

სამეცნიერო კვლევითი მიმართულებები და თემატიკა

2019-2022 წლები

გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტი დაარსდა 2018 წელს. კვლევითი ინსტიტუტის დაარსება მიზნად ისახავს ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობების მობილიზებასა და განვითარებას, სამეცნიერო მიღწევათა ჩართვას სასწავლო პროცესში და სამეცნიერო საქმიანობით ახალგაზრდა კადრების დაინტერესებას.

ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტი დაარსებიდანვე აქტიურად იკვლევს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს, თუმცა ამ კვლევებს არ ჰქონდა სისტემური და სტაბილური ხასიათი. ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში შემუშავდა 2019-2023 წლების სამეცნიერო მუშაობის სტრატეგიული გეგმა, დეპარტამენტებისა და განყოფილებების მიხედვით. ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი აქტუალურ პრობლემად მიიჩნევს კვლევების განხორციელებას: ქართული ჟურნალისტიკის, მედიცინის, სამართლის, სახელმწიფო მართვის, ბიზნესის, აგრარული ტექნოლოგიების, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ხელოვნების, არქეოლოგიის, საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, პედაგოგიკის და საბუნებისმეტყველო მიმართულებებით.

ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი აქტიურად ჩაერთვება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, რითაც იგი დიდი წვლილს შეიტანს ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. ცენტრის უახლოესი წლების (2019-2023წწ) მთავრ ამოცანად რჩება სამეცნიერო მონოგრაფიებისა და შრომების გამოცემა, საჯარო ლექციების ჩატარება, საველე და საარქივო მუშაობა.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი მიმართულებები და თემატიკა

1. სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის დეპარტამენტი

ქართული ჟურნალისტიკის განყოფილება

- ✓ ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებიგაზეთი - ქართული ბეჭდური პერიოდული გამოცემები; ბეჭდური გამოცემის (გაზეთის ან ჟურნალის) მომზადება, რომელიც ასახავს სხალთის ეპარქიის სიახლეებს.
- ✓ გაზეთი, რადიო, ტელევიზია, კინოდოკუმენტალისტიკის განყოფილება
- ✓ რადიო, ტელევიზია (სამაუწყებლო მედია) - რეგიონული მედიის განვითარების ტენდენციები;
- ✓ კინოდოკუმენტალისტიკა - სხალთის ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღება.

2. სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის დეპარტამენტის

ქართული სამართლის ისტორიის განყოფილება

- ✓ სასჯელი ძველ ქართულ სამართალში.
- ✓ საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი წინამძღვრები ზემო აჭარაში.
- ✓ ოსმალთა სამართლებრივი სისტემის ,,შარიათის“ ოფიციალურ სახელმწიფო სამართლებრივ ნორმად დამკვიდრების მცდელობა აჭარაში.
- ✓ თურქეთის მიწათმფლობელობის კანონმდებლობის ,,თანზიმათის“ რეფორმები და მისი უარყოფითი შედეგები.
- ✓ ადგილობრივი ადათობრივის სამართალი (,,წინაიკაცების სასამართლო“).
- ✓ სამედიატორო სასამართლო აჭარაში.

ქართული სახელმწიფოს მართვის ისტორიის განყოფილება

- ✓ აჭარის ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობა და მართვა გამგებლობა ოსმალთა ბატონობის პერიოდში.
- ✓ სოფლის მეჯლისი ადგილობრივი ადმინისტრაციის უმდაბლესი ინსტანცია.
- ✓ ოლქა – სახალხო მმართველობის ორგანო.
- ✓ რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა და მართველობითი სისტემის დამკვიდრება.
- ✓ რუსული მმართველობა და მუჰაჯირობის პრობლემა.

3. აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ქართული ბიზნესის ისტორიის განყოფილება

- ✓ აჭარის რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა 2019-2022 წლებისათვის;
- ✓ საქართველოს ფარგლებში არსებული სამეცნიერო-პოპულარული რეფერირებადი ჟურნალების განხილვა, რომელში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებიც მიმართულია ხელი შეუწყოს ქართული ბიზნესის განვითარებას და ამ ფონზე რეგიონების ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას 2019-2022 წლებში;
- ✓ სამეცნიერო სტატიების მომზადება და განხილვა ქართველი ბიზნესმენი-მეცენატებისა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში (გასული და თანამედროვე პერიოდების მდგომარეობის მიხედვით);
- ✓ სამეცნიერო სტატიების მომზადება და განხილვა მაღალმთიანი აჭარის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით 2019-2022 წლებში;
- ✓ კითხვარების შემუშავება და კვლევითი სამუშაოების განხორციელება თემაზე - რას ფიქრობს მოსახლეობა ქართული ბიზნესის განვითარებაზე (ყოველ წლიურად);
- ✓ მონაწილეობა ყოველწლიურ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში ;
- ✓ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და განხილვა გაწეული საქმიანობის მიხედვით, რომელიც ემსახურება ქართული ბიზნესის განვითარებას.

საქართველოს აგრარული განვითარების ისტორიის განყოფილება

- ✓ საქართველოში გავრცელებული ახალი ინვაზიური დენდროფილური მავნებელ-დაავადებები და მათი უარყოფითი ზემოქმედებით მოსალოდნელი საფრთხეები;
- ✓ საქრთველო თურქეთის ტრანსასაზღვრო ეკოლოგიური პრობლემები და აქ არსებული იშვიათი და ქრობადი სახეობები;
- ✓ ჩვეულებრივი საკვები წაბლის მასიური ხმობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა (ლაბორატორიულ დონეზე) და მათ წნააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიებების გატარება;
- ✓ მეციტრუსეობის დარგის პრობლემები და სახელმწიფოს როლი მისი აღმოფხვრის საქმეში;
- ✓ მეციტრუსეობის დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი ღონისძიებები.

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების დეპარტამენტი

ქართული ფილოლოგიის განყოფილება

ა) ლიტერატურა

- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტის ხალხური სიტყვიერება(სხალთა-ხიხაძირის ხეობა);
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტის ხალხური სიტყვიერება (ღორჯომ-დიდაჭარისა და დიოკნისის ხეობა);

- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტის ხალხური სიტყვიერება (უჩამბის ხეობა);
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტის ხალხური სიტყვიერება(მარეთისა და ჭვანის ხეობა);
- ✓ ქედის მუნიციპალიტეტის ხალხური სიტყვიერება(მერისის ხეობა).

ბ) ენათმეცნიერება

- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტის მეტყველების ენობრივი თავისებურება (სხალთა-ხიხაძირის ხეობა);
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტის მეტყველების ენობრივი თავისებურება (ღორჯომ-დიდაჭარისა და დიოკნისის ხეობა);
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტის მეტყველების ენობრივი თავისებურება (უჩამბის ხეობა);
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტის მეტყველების ენობრივი თავისებურება (მარეთისა და ჭვანის ხეობა);
- ✓ ქედის მუნიციპალიტეტის მეტყველების ენობრივი თავისებურება (მერისის ხეობა).

ქართული ხელოვნების ისტორიის განყოფილება

- ✓ სამეცნიერო სტატიების მომზადება სხვადასხვა საკითხებზე ინსტიტუტის ყოველწლიური შრომებისათვის;
- ✓ საკონფერენციო თემების მომზადება თანამედროვე აქტუალურ პრობლემებთან მიმართებაში;
- ✓ საველე სამეცნიერო ექსპედიციების განხორციელება უძველეს ქალდეასა და ტაო-კლარჯეთში;
- ✓ გაგრძელდება საუნივერსიტეტო სემესტრული, საველე პრაქტიკა საქართველოს სხვადასხვა ეპარქიის ხუროთმოძღვრული ძეგლების გასაცნობად

საქართველოს ისტორიის განყოფილება

ა) ისტორიის განყოფილება

- ✓ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უძველეს ხანაში და კონტაქტები წინააზიურ ცივილიზაციებთან;
- ✓ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები;
- ✓ ქრისტიანული საეკლესიო კერები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში;
- ✓ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის პრობლემები ფეოდალურ ხანაში (ურთიერთობა ბიზანტიურ სამყაროსთან, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საკითხები);
- ✓ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ოსმალო დამპყრობლებთან XVI-XIX საუკუნეებში;
- ✓ ოსმალურ არქივებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ დაცული წერილობითი წყაროები;
- ✓ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ეთნიკური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფის საკითხები უახლეს პერიოდში;

ბ) არქეოლოგია

- ✓ მერისის ხეობაში (ქედის მუნიციპალიტეტი), სოფელ ნამონასტრევის ტერიტორიაზე ნაეკლესიარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვა და არქეოლოგიური შესწავლა. მოპოვებული მასალის დამუშავება და მეცნიერული პუბლიკაციის მომზადება. მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ხიჭაურის წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის ისტორიის საბაკალავრო და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები;
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქიძინიძეებში ,,წმინდისერის" ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება;
- ✓ ცინარეთის შუა საუკუნეების თავდაცვითი ციხე-კოშკის არქეოლოგიური შესწავლა;
- ✓ კომპლექსური ექსპედიცია ხულოს მუნიციპალიტეტში, ღორჯომისწყლის ხეობაში. მასში მონაწილეობას მიიღებენ არქეოლოგები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, სტუდენტები;
- ✓ მონაწილეობა ყოველწლიურ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- ✓ კომპლექსური ექსპედიცია ხულოს მუნიციპალიტეტში, სხალთისწყლის ხეობაში. მასში მონაწილეობას მიიღებენ არქეოლოგები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, სტუდენტები

ქართული პედაგოგიკის ისტორიის განყოფილება

- ✓ ქართული პედაგოგიკის ისტორიის განყოფილების ხუთწლიანი სამუშაო გეგმის შედგენა;
- ✓ ნაშრომის მომზადება თემაზე: დიდი ქართველი განმანათლებლები - წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები;
- ✓ მწერალ-მწიგნობრის, მეცნიერ-ასტრონომისა და ჰიმნოგრაფის ტბელ აბუსერისძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა;
- ✓ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, აჭარაში მოღვაწე განმანათლებლები და პირველი ქართული სკოლები აჭარაში;
- ✓ პროექტის მომზადება- ხალხური პოეზიის ზნეობრივი არსი;
- ✓ ნარკვევის მომზადება: იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა;
- ✓ საკლასო-საგაკვეთილო სისტემა და მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა;
- ✓ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მთიან აჭარაში მოვლინებულ მასწავლებელთა შესახებ ნაშრომის მიმზადება და გამოცემა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი

- ✓ ქართველ მათემატიკოსთა ბიოგრაფიების შეკრება-დამუშავება და მათი როლის წარმოჩენა მათემატიკის განვითარების ისტორიაში;
- ✓ ქართველ მათემატიკოსთა , ფიზიკოსთა , ქიმიკოსთა და ბუნებისმეტყველების სხვა დარგის მოღვაწეთა შრომების უმთავრესი შედეგების კრებულის დამუშავება და გამოცემა;
- ✓ სამეცნიერო თემატურ კონფერენციებში მონაწილეობა;
- ✓ ინგლისურ-რუსულ-ქართული მათემატიკური ლექსიკონის გამოცემა;
- ✓ მათემატიკის ისტორიის სასწავლო წიგნის მომზადება და გამოცემა.